*

*  *

იმედო, ნუთუ ღმერთი ხარ, რომ ფიქრი ყოვლის შენკენ ჰრბის!
რომ ჩვენი სოფლად სიცოცხლე უშენოდ არა ნათლდების?
შენ გულს უმშვიდებ ნუგეშით ამა სოფლისგან დევნილსა,
შენ ცრემლსა უშრობ მტირალსა, შენ ატკბობ გამწარებულსა.
თვით საპყრობილეს, დავრდომილს, სასიკვდოდ განმზადებულსა
შენ შვების შუქით უნათებ ბნელ ჯურღმულს და მის ბნელ გულსა;

და თვით მას ჟამსა, ოდესცა უბადრუკს ყოვლი უტევებს,
სამარის კარად შენ მარტო მასა თანაჰსდევ მეგობრულ,
და იქ უჩვენებ სხვა სოფელს, სხვა დღესა დაუღამოსა,
ზეცად ღვთაებრივ ცხოვრებას, ნეტარსა, საუკუნოსა.